

ცვლილების პოტენციური აუტიზმის მახასიათებლების

მქონე ჯანმრთელ პირებში

ბარბარე ჭკუასელი

*„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად“*

პროგრამა: კლინიკური ფსიქოლოგია

ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბარბარე ჭკუასელი

აბსტრაქტი

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ იყენებენ გარკვეული სახის ჟესტიკულაციას თუ მოქმედებას.

მიუხედავად ცხოვრების განმავლობაში მიღებული გამოცდილებისა, მაინც ჩნდება პრობლემები ემოციების გამოხატვასა და მათ სწორად აღქმასთან დაკავშირებით. რაც თავის მხრივ განსხვავებულ ემოციათა შორის ცვლილების სწორად აღქმასა და მიღებას გულისხმობს.

ზოგადად ცვლილებისადმი დამოკიდებულების კანონზომიერების დასადგენად, გადაწყვეტეთ ჩაგვეტარებინა კვლევა, რომელიც პასუხობს შემდეგ საკვლევ კითხვებს:

- 1: როგორია ადამიანი-გარემოს მდგომარეობის ცვლილებების დინამიკა სიტუაციური ცვლილების პირობებში?
2. როგორია ჯანმრთელი ადამიანების პოპულაციაში აუტისტური მახასიათებლების მქონე ადამიანების ხვედრითი წილი ?
3. არის თუ არა განსხვავება ცვლილებაზე რეაგირების არაცნობიერ მექანიზმში აუტისტური მახასიათებლების მაღალ და დაბალ მაჩვენებლების მქონე ჯანმრთელ პირებში.

კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელი პოპულაციის შესწავლა და მათი ცვლილებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა, აუტიზმის მახასიათებლების განმსაზღვრელი S. Baron-cohen-ის კითხვარის მეშვეობით რომელიც 2001 წელს შემუშავდა და AQ განმსაზღვრელი კითხვარის სტატუსი მიიღო. იგი განსაზღვრულია ცალ-ცალკე ბავშვებისთვის, მოზარდებისთვის და ზრდასრული პოპულაციის გამოსაკვლევად. ჩვენ გამოვიყენეთ ზრდასრულთა კვლევის კითხვარი.

კითხვარი მოიცავს 50 კითხვა/დებულებას. მისი დახმარებით ისაზღვრება როგორც ჯამური აუტიზმის მახასიათებელი ქულა, ასევე მასში შემავალი 5 ჯგუფისთვის დამახასიათებელი ტენდენციები. საყურადღებოა, რომ ქულათა მიხედვით ჯანმრთელი

პოპულაციის მაქსიმალური ზღვრული ნორმაა 20 ქულა- აუტიზმის ნიშნების ძალიან დაბალი მაჩვენებლის მქონე . მის ზემო მიღებული ქულა 32 ნიშნულამდე ნიშნავს რომ ცდისპირი აქვს აუტიზმის გამოხატული მახასიათებლები და 32 ზე მეტი მიუთითებს აუტიზმის დიაგნოსტიკის შესაძლებლობაზე. ჩვენს კვლევაში 75 პროცენტი აღმოჩნდა ჯანმრთელი და 25 პროცენტი აუტიზმის რისკის ქვეშ (რაც პასუხობს ჩვენს საკვლევ კითხვას).

კვლევის მეორე ნაწილი ითვალისწინებდა ცდისპირთა ემოციის სწორად აღქმის შეფასებას სამი პრეტესტული სურათის დახმარებით (რომლებზეც გამოსახული იყო ადამიანის სახე შემდეგი ემოციების გამომხატველი): დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური. ამის შემდეგ 15 საფიქსაციო სურათის დახმარებით განწყობის ჩამოყალიბების მცდელობა და 5 (ნეიტრალური ემოციის გამომხატველი ადამიანის ფოტო) კრიტიკული ექსპოზიციისადმი შემუშავებული განწყობით შეფასდა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 83,2 პროცენტი ზუსტად აღიქვავდა ემოციას, თუმცა აუტიზმის ნიშნების მახასიათებელი და არ მახასიათებელი ინდივიდები ავლენდნენ განსხვავებას (რაც ასევე პასუხობს ჩვენს საკვლევ კითხვას) .

ასევე ცდისპირებმა პირველ კრიტიკულ ექსპოზიციაზე გამოავლინეს განწყობის ჩამოყალიბა. დაბალი აუტიზმის მახასიათებლების მქონე პირებმა გამოავლინეს კონტრასტული ილუზიისკენ ტენდენცია, ხოლო აუტიზმის მახასიათებლების შედარებით მაღალი დონის მქონე პირები მიდრეკილნი იყვნენ ასიმილაციური ილუზიის ჩამოყალიბებისკენ. 5 კრიტიკულ ექსპოზიციაზე დაკვირვებით ასევე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ადექვატური პასუხების რაოდენობის მატებაზე, რაც თავის მხრივ განწყობის ჩაქრობაზე მიგვითითებს.

კვლევაში გამოყენებულია 10 ცხრილი, 6 გრაფიკი და 2 დანართი, რომელთა დახმარებით ვსაუბრობთ კვლევის სტატისტიკურ მაჩვენებლებზე.

საბოლოო ჯამში კვლევის შედეგების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯანმრთელ პოპულაციაში არიან აუტისტური მახასიათებლების მქონე ადამიანები და ისინი განსხვავებულად რეაგირებენ ცვლილებებზე.